

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სანდრო გიორგაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	10	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	20
წერის უნარი	15	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	12	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრიონა	3	5
პროფესიული აქტივობა	2	5
ქულათა ჯამი	72	100

თარიღი: 17.09.2024წ

ს. გიორგაშვილი



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

დიმიტრი გვრიტიშვილი

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო სასამართლოებში, აგრეთვე - თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **სანდრო გიორგაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, სააპელაციო სასამართლოებში, აგრეთვე - თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ მოსამართლის 18 ვაკანტურ თანამდებობაზე (მათ შორის: 2-2 ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებში; 1-1 ვაკანტურ თანამდებობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში; 3-3 ვაკანტურ თანამდებობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეთა, საგამოძიებო და წინასასამართლო კოლეგიებში) გამოცხადდა კონკურსი.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **სანდრო გიორგაშვილი** (შემდგომში - „კანდიდატი“), თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში, აგრეთვე - სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებთან მიმართებით.

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 4 სექტემბერს, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

წმ. ა. ა. ა. ა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი (1993-2004 წლებში ასრულებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას ყვარლის და გურჯაანის რაიონულ სასამართლოებში), შევაფასე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 61 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 31 წელზე მეტია, მათ შორის - სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 11 წლის მანძილზე.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი, სისუსტესა და ნაკლოვანებში, უთითებს ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატის გადაჭარბებულ ლმობიერებაზე.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი მოსამართლეობის კანდიდატობის, საპროკურორო საქმიანობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობის (2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე „კანდიდატი“ ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იქნა წარდგენილი ცხრა ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ბლოკის მიერ; ასევე - 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის) შესახებ. „კანდიდატი“ არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/ მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატი“ 8 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

ინფორმაცია „კანდიდატის“ რომელიმე სამართალწარმოებაში მხარედ, აგრეთვე - დაზარალებულად მონაწილეობის შესახებ არ არის წარმოდგენილი.

2.1.6. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა მოიძია „კანდიდატის“ მიერ გურჯაანის რაიონულ სასამართლოში განხილული 5 საქმე (2 სამოქალაქო საქმე და სისხლის სამართლის 3 საქმე). ამ საქმეთა განხილვისას „კანდიდატის“ მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ „კანდიდატის“ მსჯელობები ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია; თუმცა - ზოგჯერ

სათანადოდ არ არის გამოყენებული სასჯენი ნიშნები, ასევე - აზრი ჩამოყალიბებულია რთული წინადადებების გამოყენებით, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას (აღქმას) გარკვეულწილად აფერხებს.

2.1.7. „კანდიდატს“ ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 2014 წელს, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.8. „კანდიდატმა“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ორგანიზებულ, შექმენებითი (სასწავლო) ხასიათის 4 ღონისძიებაში (სემინარი და ა.შ.), შემდეგ თემებთან დაკავშირებით: სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა; სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი); არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

„კანდიდატი“ ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

ამდენად, „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში საკმარისად ხშირად არ მონაწილეობს. შესაბამისად, მას გააჩნია გარკვეული ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

2.1.9. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ/ სამეცნიერო საქმიანობას. ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და წამოაყენებს იდეების/ წინადადებებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატს“ „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატი“ ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

2.2.3. „კანდიდატმა“ ვერ წარმოაჩინა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის (მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) სათანადო ცოდნა (მაგ. ვერ უპასუხა სრულყოფილად შეკითხვებს უშუალო დემოკრატიის ფორმების შესახებ, ასევე - მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების შესახებ და ა.შ.).

ს. ბერიძე

მ. ა. ბერიძე

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 5-ვე მახასიათებლის მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ შეფასების 3.1 პუნქტში აღნიშნულ პრეზუმფციას „კანდიდატის“ 5-ვე მახასიათებლის მიხედვით კეთილსინდისიერად მიჩნევის შესახებ, დავასკვნებ, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მახასიათებლებს („პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“; „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“; „პიროვნული და პროფესიული ქცევა“; „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“; „ფინანსური ვალდებულება“).

3.2.3. დავსკვნა, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებელს აკმაყოფილებს, თავისთავად განაპირობებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საბოლოო დასკვნას: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ამ შეფასების 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, „კანდიდატს“ მივანიჭე 10 ქულა.

4.2. ამ შეფასების 2.1.6 და 2.2.2 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 15 ქულა.

4.3. ამ შეფასების 2.1.6 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 15 ქულა.

4.4. ამ შეფასების 2.2.2 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 12 ქულა.

მ. აბოჯი.

4.5. ამ შეფასების 2.1.3 და 2.1.6 პუნქტებში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „**პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)**“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 15 ქულა.

4.6. ამ შეფასების 2.1.8 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „**აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის**“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 3 ქულა.

4.7. ამ შეფასების 2.1.9 პუნქტში აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „**პროფესიული აქტივობის**“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ მივანიჭე 2 ქულა.

4.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, „კანდიდატს“ მივანიჭე 72 ქულა (10+15+15+12+15+3+2).

თბილისი, 2014 წლის 11 თვის 11 რიცხვს.
